ჩემპიონატი

“დინამო” (თბილისი) – “მეტალურგი” (მოსკოვი)

გუშინწინ ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე ჩატარებულ მატჩს მოსკოვის “მეტალურგსა” და თბილისის “დინამოს” შორის დიდძალი მაყურებელი დაესწრო.

სრულ 3 საათზე მოწინააღმდეგეები გამოდიან მოედანზე. იწყება თამაში. ბურთი მეტწილად მოედნის ცენტრში ტრიალებს. ორივე გუნდის თავდამსხმელები უსისტემოდ იბრძვიან. ისინი არაზუსტი გადაცემის შედეგად კარგავენ ანგარიშის გახსნის რამდენიმე შესაძლებლობას.

სამაგიეროდ დამცველები – გრომოვი, კისელიოვი (“მეტალურგი”) და პეხლივანიდი (“დინამო”) ენერგიულად თამაშობენ.

27–წუთიან ბრძოლას შედეგი არ მოუცია. 28-ე წუთზე დამცველებისაგან მოედნის ცენტრში ბურთს ღებულობს პაიჭაძე. იგი თავისუფლად მიიწევს წინ და საჯარიმო მოედანთან მოხერხებულად აწვდის ჯეჯელავას. ეს უკანასკნელი შეუჩერებლივ ძლიერად ურტყამს კარში. პირველი ბურთი ბადეშია.

მეტალურგელები გადადიან შეტევაზე. რამდენიმე კარგი ბურთი აიღო მეკარე ტყებუჩავამ. “ბრძოლა” ახლა უკვე დინამოელთა საჯარიმო მოედანზე მიმდინარეობს. 35-ე წუთზე მარჯვენა გარემარბი კარასევი ოსტატურად უსხლტება კიკნაძეს და ბურთს აწვდის თავდამსხმელთა მარცხენა ფრთას. პაპკოვს (მარცხენა გარემარბი) გააქვს პირველი გოლი. ანგარიშია – 1:1.

თამაშმა საინტერესო სახე მიიღო. მეტალურგელები თავგამოდებით იბრძვიან, თუმცა ტაიმის დამთავრებამდის მათ კარში დინამოელები მეორე ბურთის გატანას ახერხებენ.

შეჯიბრების პირველი ნახევარი მთავრდება თბილისელთა სასარგებლოდ – 3:1.

მეორე ტაიმის მე–10 წუთზე მიტრონოვი (“მეტალურგი”) თავური გარტყმით ადიდებს ანგარიშს. “დინამოს” თავდამსხმელები გადადიან კონტრშეტევაზე. სტუმართა ნახევარდამცველები – სიზემოვი, ალიაკრინსკი და ზაიცევი დაიბნენ. მე–20 წუთზე მ. ბერძენიშვილის, პაიჭაძისა და ჯეჯელავას მიერ გათამაშებული ლამაზი კომბინაცია დაგვირგვინდა პაიჭაძის ზუსტი დარტყმით. მეკარე ეფიმოვი ამაოდ შეეცადა ბურთის აღებას. შეჯიბრების ბოლო წუთებში სტუმრებმა დამატებით მიიღეს 2 ბურთი (ორივე გაიტანა ბერეჟნოიმ).

მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით, ანგარიშით – 6:2.

ვ. გაბელია.
„ახალგაზრდა კომუნისტი“, 5 ნოემბერი, 1940 წ.